29
1919
5-

ხუთშაბათი,
თებერვლის 13.
(იანვარის 30).
1919 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.



№ 31.

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

პირველი ნომერი! ნომერო შენშევიკურო!

ნომერო ინტერნაციონალობისა, შენ მოწყალე შენი დრო!

მეორე ნომერო! ნომერო ნელ-თბილი „დემოკრატიისა"!

ნომერო მონოპოლისტ—სპეკულიანტებისა, შენი დრო არ დადგება!

მოვდივარ მე, მესამე ნომერი!

ნომერი ქართველი მეურნისა—

მიწის მესაკუთრისა! ნომერი

ქართველი ნაციონალისტებისა!

და ვარ მაგარი ისე, როგორც

„სალი კლდე"!

მერიდეთ!

საქართველოს ეროვნული პარტიის
საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია „საქართველო ჯერ ქართველებისათვის"!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გადაწყდეს სახელმწიფოს, და არა ყაჩაღური წესით.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ხამულის ჩამორთმევა მოხდეს ხელოვნად ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ კლეხობის დასახლებისათვის).

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეული მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნეპადართული იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის)

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს სომხებს, რუსებს) აეკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს)

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი საქმე.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად თფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივი რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

———

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

———

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მორჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს „ეროვნულ-დემოკრატებს" (გაზეთ „საქართველოს") არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მაჩანჩალა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ, „საქართველოს ეროვნული პარტია," დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც „კლდე" სახელმწიფოებრივ პროგრამას.

ნაწილების და პირების წინააღმდეგ, რომელთაც მოხალისეთა ჯართან კავშირი აქვთ და საქართველოში არიან. საქართველოს მთავრობა იარაღით ხელში აიძულებს ყველას პატივი სცეს მის უფლებებს.

ინგლისელების მოქმედება ფოთში.

ინგლისელმა ოფიცერმა ფოთში ნება არ დართო ჩვენ მიერ დაქირავებულ გემით სოხუმში ჩვენი ჯარის გადაყვანაზე, ვიდრე ამის თანხმობა არ მოუვა თფილისში მყოფ ინგლისის მისიისაგან. ზღვაზე ღელვაა. ინგლისელი ოფიცერი სოჭაში გაემგზავრა.

ტელეგრაფი ეკატერინოდართან.

გუშინ პირდაპირი მავთულით თფილისს გამოუძახეს ეკატერინოდარიდან, მაგრამ შესწყდა და ჯერ-ჯერობით არ განახლებულა.

სომხების დაპატიმრება თიფლისში

სოჭაში მომხდარ ამბების გამო თფილისში დააპატიმრეს სომეხი ოფიცრები, რომელთაც ამ ამბებთან კავშირი ქონდათ. დაპატიმრებულია: გენ. არეშევი, პოლკ. მელიქ-მურადოვი და რამდენიმე ოფიცერი სომხეთის სამშვიდობო კონფერენციამ მიმართა საქართველოს საგარე საქმეთა მინისტრს დაუყონებლივ გაანთავისუფლოს ისინი და შემდეგში აღარ განმეორდეს ასეთი შემთხვევა.

რუსთა საბჭოს თავმჯდომარის დაპატიმრება

თებერვლის 11 განსაკუთრებულმა რაზმმა დააპატიმრა რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ლებედევი.

ინგლისელების დახმარება დენიკინს.

ინგლისელებმა მოხალისეთა ჯარს ნორმალურ ფასში გადასცეს 202,000,000 რუსული ფული, რომელიც სპარსეთში მოაგროვეს.

საქართველოს დელეგაციის გემი.

საქართველოს საზავო დელეგაცია ამ ჟამად სტამბოლში იმყოფება. ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულია შესაფერი ზომები, რომ დელეგატებმა განაგრძონ გზა პარიზისქენ. მაგრამ ამ ცდას ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ. სტამბოლის გაზეთები თურმე სასტიკ აგიტაციას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეთანხმების სახელმწიფოებიც როგორც სჩანს, უხერხულად სცნობენ ჩვენი დელეგაციის დაშვებას საერთაშორისო კონფერენციაზე, რადგან მისი სოციალისტური შემადგენლობა საშიშრად მიაჩნიათ.

(ს.)

ფოთის ცხოვრება.

9 თებერვალს მოხდა ქალაქის არჩევნები. არჩევნების შედეგი: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2864 ხმა და გაიყვანეს 22 ხმოსანი (შარშანდელზე ორით მეტი)., ნაციონალ-დემოკ. მიიღეს 721 ხმა და გაიყვანეს 6 ხმოსანი, სოციალ-რევ. 88 ხმა და გაიყვანეს 1 ხმოსანი, სოციალ-ფედ. 281 ხმა და გაიყვანეს 2 ხმოსანი. უპარტიოებმა მიიღეს 4 ხმა და ვერც ერთი ხმოსანი ვერ გაიყვანეს. ფოთის სახალხო გვარდიამ მოახდინა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია და მისი დიდი ნაწილი გაიგზავნა ფრონტზე. გუშინ ჩამოვიდა ვალიკო ჯუღელი და იმავ საღამოს გაემგზავრა ფრონტზე.

გათუმის ცხოვრება.

მომავალ ქალაქის საბჭოს შემადგენლობა საბოლოოდ გამოირკვა: რუსებს მიეცა 19 ხმოსანი, აქედან 4 უკრაინელებს ქართველ ქრისტიანებს 11, ქართველ მაჰმადიანებს 6, სომხებს 14, ბერძნებს 7 და ორ-ორი ებრაელებს და პოლონელებს. მასლოვის თავხედობას საზღვარი არ უაჩნს. მის განკარგულებაში კაცმა არ იცის სად თავდება კანონიერება და სად იწყება უკანონობა და თვითნებობა. ამ გვარი არ გვინახავს და არ გაგვიგონია რუსეთის არც ერთ ბნელ რეჟიმის დროსაც. 5 თებერვალს ქობულეთში მოხდა დიდი კრება. ერთხმად გამოითქვა სურვილი საქართველოსთან ფართო ავტონომიით შეერთებისა. ამავე წინადადებით მიმართავენ აჭარლებს მხარი დაუჭირონ მათ სამართლიან მოთხოვნას. ჩამოვიდა მთავრობის წარმომადგენელი აკაკი ფაღავა, რომელსაც მინდობილი აქვს ეროვნულ საბჭოს მიერ დადგენილება გიმნაზიის გახსნის შესახებ რაც შეიძლება მალე სისრულეში მოიყვანოს. იმედია მაცადინობა ამ ერთ კვირაში დაიწყება. ქვემო აჭარლები პროტესტს უცხადებენ ალი ჯაფარიძეს, რომელმაც მათის სახელით განაცხადა კრებაზე აჭარლების სურვილი რუსებთან შეერთების შესახებ. ქართული საქველმოქმედო და მაჰმადიანი ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებები შეერთდა და დაერქვა სახელათ ,,სამუსულმანო საქართველოს საქველ-მოქმედო საზოგადოება'', რომლის გამგეობაში შედის სამი ქართველი ქრისტიანი და 6 ქართველი მაჰმადიანი. ჩამოვიდა ინგლისის ელჩი ტივენსი. უკვე 5 დღეა აქ იმყოფება საქართველოდან მომავალი გერმანელთა მისია ბარონ კრესის მეთაურობით. ინგლისელები პირდებიან სტამბოლში გაგზავნას ელიან გემს.

საჩხერეში დაზარალებულია დახმარება.

პარლამენტის წევრის ვეშაპელის საჩხერეში ჩასვლის დროს, მას წარუდგენ ცეცხლისაგან დაზარალებულნი და მადლობა გამოუცხადეს იმ დახმარებისათვის, რომელიც ჩვენი ფრაქციის თაოსნობით, აღმოუჩინა პარლამენტმა დაზარალებულთ; მაგრამ თან დასძინეს, რომ ეს დახმარება (45,000 მან.) ჯერაც არ აუღიათ; როგორც გამოირკვა დეკემბერში გადადებულ ფულის მიღება დღემდის ვერ მოუხერხებია შორაპანის სამაზრო ეროობის გამგეობას, რომლის განკარგულებაში იყო გადადებული ეს ფული; თანახმად საჩხერელთა და აგრეთვე ეროობის დავალებისა გ. ვეშაპელმა უკვე მიაღებია სათანადო ზომები ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამ ჟამად ეს 45 ათასი მანეთი უკვე გადაიგზავნა შორაპანის მაზრის ხაზინაში ეროობის სახელზე.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

არეულობა ინგლისში.

გააგიდან იუწყებიან, რომ ინგლისის ქალაქი ბალფასტი მუშების ხელშია. სტრასბურგში საფრანგეთის საწინააღმდეგო მუშათა დემონსტრაციები გაიმართა. მუშები აღელვებული არიან სიძვირით და ხელფასის სიმცირით.

ვილსონის პროგრამა და ფრანკფურტის ცრება

ფრანკფურტის გაზეთი კატეგორიულად მოითხოვს მხარი დაუჭირონ ვილსონის პროგრამას გერმანიის ხალხთა ლიგის შესახებ. გაზეთის აზრით, მხოლოდ ინტერნაციონალურ ოჯახში და ატმოსფერაში შეუძლია გერმანიას იარსებოს და აყვავდეს.

რეფერუნდუმი ელზასში.

ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე ჰოლანდიელმა ტრელსტრამ კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ელზასელმა მუშამ ბრულბარხმა მხარი დაუჭირა ელზასლორენში რეფერენდუმის მოხდენის საჭიროებას. მაგრამ რეფერენდუმი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ უნდა მოხდეს.

ელზასიდან დევნილთა პროტესტი.

ფრეიბურგში შესდგა ელზას ლორენიდან გამოდენილთა დიდი კრება, რომელმაც გერმანიის ეროვნულ ყრილობას გაუგზავნა თავისი დადგენილება. სადაც ითხოვენ შველას და პროტესტს აცხადებს ელზასლორენიდან მათი განდევნის და მათი ქონების დაჭერის გამო.

რუზველტი და ამერიკა.

რუზველტს შეერთებულ შტატებში რამოდენიმე ათასი პანაშვიდი გადაუხადეს, ხოლო ნიუ-იორკში რამოდენიმე ასი მაღოლმის შემდეგ ამდენი პანაშვიდი არავისთვის გადაუხადიათ. გამოირკვა, რომ რუზველტის ოდენა მეგობარი არავის ყოლია.

ამერიკა და მოკავშირეები.

ვაშინგტონში ხაზინამ დაამტკიცა ახალი კრედიტები: იტალიისთვის 7,500,010 დოლარი და ბელგიისთვის—4000000 დოლარი. ამერიკას მოკავშირეებისთვის სულ უსესხებია 8,674,324,000 დოლარი.

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა.

კლემანსომ ,,არსიედედპრეს''-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა მძიმეა, გერმანიასთან შედარებით, რომელსაც ყველა სესხები შიგნით სახელმწიფოში აქვს, აღებული, ხოლო საფრანგეთი კი იძულებულ იქნება დიდი ფული გადაიხადოს საზღვარგარეთ აღებულ სესხების პროცენტებში.

რუს-ბოლშევიკების ცნობა

ბუდაპეშტის პრესა იუწყება, რომ ბესერაბიაში რუმინიის წინააღმდეგ აჯანყება. რუმინიამ თავისი ჯარის ნაწილი გადაგზავნა ჰუნგრეთში და ბესარაბიაში. ,,ტილზიტერ ცაიტუნგი''-ს ცნობით შვეიცარიაში 15000 მუშაა გაფიცული. დაიწყო აგრეთვე მეზღვაურთა გაფიცვა. ამერიკის სარდლობის წარმომადგენელი სტრაუსი გაზეთ ,,ნაროდნაია სიბირში'' ოფიციალურათ იუწყება, რომ საფრანგეთის ფრონტიდან ამერიკა არ ფიქრობს რუსეთისაკენ ჯარის გაგზავნას. ხარბინიდან იუწყებიან, რომ ციმბირიდან იაპონიის ჯარის ევაკუაცია დასრულდა. ბელგოროდის მაზრის რამოდენიმე სოფელში ლატაკთა კომიტეტებმა აღწერეს სურსათი და მოაწყვეს შრომის კომუნები. გაიხსნა მშრომელ ყაზახთა ყრილობა! მთავრობის რადიო იუწყება, რომ შაბათს ბერლინში რამოდენიმე ადგილას შეტაკება მოხდა. გამოიძახეს ჯარი, რომელთაც მოულოდნელათ წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკება შიგნით სახლებშიაც ხდებოდა. სპარტაკელები მოუწოდებდენ ჯარს, ლიბკნეხტის მოკვლისთვის სამაგიერო გადაეხადათ. წესრიგი აღადგინეს. გუშინ მოხდა პირველი ყრილობა მოსკოვის ც. კ. რ. კ. პ. ესერების პარტიის დელეგაციასთან და დამფუძნებელ კრების წევრებთან ერთათ. თავჯდომარე კამენევმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებას საფუძვლათ უნდა დაედოს ესერების განცხადება შესწყვიტონ ბრძოლა საბჭოთა მთავრობასთან და მათთან ერთად შეთანხმებით იბრძოლონ ყო-

ფელეტონი.

სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XX

მწარე გამოცდილება

ჩემი ცოლი და რძალი ნაშუალამევამდე სხედან და საიდუმლოთ ჰკერავენ.

განზრახულია აგნესასათვის ახალი კაბის შეკერვა.

როგორც კონტროლერს მე უნდა პასუხისგებაში ისინი სამუშაო საათების გაგრძელებისათვის. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ეკუთვნოდა იმ 50 კაცს, რომელნიც ჩემი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ.

ეს ორივე ქალი მუშაობის დროს უფროც უბედობენ, ვიდრე ჩვეულებრივ. თუ მე მათი გავიგე რამე, ეს ის არის, რომ საწყობში ვერიპოვნეს ის, რასაც ეძებდნენ, და სხვა რაღაცას კერავენ კაბათ. ორივე ჯერ ჯერობით ლანძღავენ ახალ მაღაზიებს. არც გამოფენა, არც რეკლამა, არც პრეისკურანტების დაგზავნა. არიცი რა არის ახალი და ან როგორა ღირსო—ამბობდნენ ქალები. სახელმწიფოს მიერ დაყენებული გამყიდავი ქალები ისე მცირედ მეტყველნი არიან; როგორც რკინის გზის კასსის მოხელენი. ყველას მიჩენილი აქვს მაღაზია, საცა რა უნდა იყიდოს! ასე თხოულობს ორგანიზაცია წარმოებისა და მოთხოვნისა.

იყიდიან რასმე თუ არა, გამყიდავისთვის, რასაკვირველია, სულ ერთია ზოგი გამყიდავი სახეს იქმუხნის ხოლმე, როცა ვინმე მაღაზიის კარს შეაღებს და, იქნება, რაიმე საინტერესო წიგნის კითხვას, ან მასლაათს შეაწყვეტინებს. რაც უფრო მეტს ირჩევდა ეკითხები მატერიის გამძლეობაზე და სხვა, მით უფრო გული მოსდის გამყიდავს ის ამჯობინებს გიპასუხოსთ გამოგველია ესა თუ ის საქონელიო, ვიდრე გაისარჯოს და მეორე ოთახში გავიდეს რამესათვის.

განსაკუთრებით გაჭირვებულია საქმე ახალ ტანისამოსის ყიდვის დროს,—შეკერვა ხომ ნორმალურ სამუშაო დღის განმავლობაში აკრძალულია, თუნდაც ეს საკუთარ სარგებლობისათვის იყოს საჭირო. ტანისამოსის გასინჯვის და მოზომების დროს იგივე ხდება, რაც ჯარის კაცებს ,ემართებათ მუნდირის მორგების დროს ამორჩეული ნომერი ხელთ მოადგება ხოლმე. თუ რამე დაკვეთით კეთდება და გასინჯვის დროს აქ ვიწროა, იქ განიერი, საჭიროა დიდი მჭევრმეტყველება, რომ ამაში დაარწმუნო გამყიდავი. თუ მისი დარწმუნება ვერ მოახერხე, ან უნდა წაიღო ტანისამოსი ისე, როგორც არის, ან უნდა საჩივარი აღძრა ქვემდებარე სახაზინო სამმართველოს წინააღმდეგ.

მართალია, საჩივრის წარმოება ეხლა ძალიან იაფად ჯდება როგორც უკვე დადგენილი იყო 1891 წლ. ოქტომბერს ერფორტის ყრილობაზე, სასამართლოში საქმის წარმოება და ვექილის შრომა უფასოა. ამიტომაც საჭირო შეიქმნა ათჯერ უფრო მეტ მსაჯულთა და ვექილთა ყოლა წინანდელთან შედარებით: მაგრამ ესეც არა კმარა, რადგან საჩივარი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მაღაზიებიდან მიცემული საქონელი ისე ცოტა სადგომები და საზრდო უვარგისი, გამყიდველები და სხვა მოსამსახურეები უზრდელები, ყველა ამაებზე იმდენი საჩივარია აღძრული, რამდენიც ქვიშაა ზღვის ნაპირზე.

და რვა საათიან სხდომის განმავლობაში მსაჯულები ვერ ასწრობენ საქმეს, თუმცა ვექილებს სულაც არ უნდათ მათი წარმოება. პირიქით, სჩივიან,—რომ ჭონორარის გაუქმების და სახელმწიფო მოხელედ გახდომის შემდეგ ისინი არც კი უსმენენ კლიენტებს, ცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა მორჩენ საქმეებს შემოკლებით აწარმოონ და თავიდან მოიშორონ. ამიტომაც ვინც პროცესსში სასიამოვნო გართობას არა ჰპოვებს მიუხედავათ მსაჯულთაგან მუქთად საქმის წარმოებისა და მუქთი იურიდიულ დახმარებისა ბევრი ამჯობინებს ყოველგვარი შეურაცყოფა გადაიტანოს, ვიდრე ირბინოს სასამართლოებში, დრო ჰკარგოს და ყოველ ნაბიჯზე უსიამოვნება იწვნიოს.

(შემდეგი იქნება)

დღეს ყოველი წევრი და თანამოაზრე ჩვენი პარტიისა უნდა გამოცხადდეს თავის პარტიულ ორგანიზაციაში და მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო მუშაობაში. ქალაქ თფილისში მცხოვრები წევრნი და თანამოაზრენი უნდა გამოცხადდენ მთავარი საარჩევნო კომიტეტის ბინაზე (,,კლდის'' რედაქციასთან) სახალხო ქუჩაზე, ქართულ კლუბთან.

დღეს საღამოს **5½** საათზე.

სამეურნეო ბანკის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

შესდგება ეროვნული პარტიის

საარჩევნო კრება.

მომხსენებელნი არიან პარლამენტის წევრნი.

პროვინციაში მიმავალ თანამოაზრეთ ვთხოვთ შემოვიდნენ საარჩევნო ბიუროში (,,კლდის'' რედაქციასთან) და წაიღონ თან პარტიული ლიტერატურა და ბიულეტენები.

დამფუძნებელ კრების

საქალაქო საარჩევნო კომისიისაგან.

საქალაქო საარჩევნო კომისია აცხადებს საყოველთაოთ, რომ ვისაც დღემდე არ მიუღია პირადობის ბარათი, შეუძლია მიიღოს 12 და 13 თებერვალს 3—8 საათამდე შემდეგ ადგილებში, ხოლო არჩევნების დღეებში ყუთებთან საარჩევნო უბნებში.

1. პირველ კომისარიატის მოქალაქენი მიიღებენ საქალაქო შკოლაში, ოლლას ქუჩა სახლი № 52.
2. მეორე კომისარიატის—ღარიბთა თავშესაფერი, ზუბალაშვილის სახლი, სასამართლოს ქუჩა.
3. მესამე კომისარიატის—პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, გოლოვინის პრ.
4. მეოთხე კომისარიატის—მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი, № 62.
5. მეხუთე კომისარიატის—პუშკინის საქალაქო შკოლაში, არბუზის მოედანი.
6. მეექვსე კომისარიატის—ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩა.
7. მეშვიდე კომისარიატის—ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქ. № 1.
8. მერვე კომისარიატის—პირველ კომერ. სასწავლებელში, 19 თებერვლის ქუჩა.
9. მეცხრე კომისარიატის—პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
10. მეათე კომისარიატის—ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კიროჩნი ქუჩა.
11. მეთერთმეტე კომისარიატის—ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩა.
12. მეთორმეტე კომისარიატის—რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, შერვაშიძეს ქ.
13. მეცამეტე კომისარიატის—საბურთალოს თეატრში.

2—1

საქალაქო საარჩევნო კომისია

სია № 8

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ კანდიდატები

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თეოდორეს ძე; მრეწველი.
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. **კაპანელი** (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. **ეკალაძე** ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. **ლოლობერიძე** დავით სიმონის ძე; ლიტერატორი.
16. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე;
17. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
18. **იშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. **ლუდუშაური** ბართლომე; მღვდელი.
20. **ივანიცკი** ტარასი; დეკანოზი.
21. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
22. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან; მხატვარი.
23. **ნიჟარაძე** რაფაელ; პედაგოგი.
24. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. **ქასრაშვილი** კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

თფილისი, თებერვლის 13

ომი რუსეთთან

ორი წლის წინად პეტროგრადში ანთებულმა რევოლიუციის ცეცხლმა მარტო ძველი წესწყობილება არ დასწვა და გაანადგურა, მასთან ერთად მან ბნელ საფლავში, ჩადო ის ძველი რუსეთის მესვეურთა დიდი საიმპერიო ლტოლვილებანიც, რომელიც რუსეთის, ,,ოკრაინათა'' ხარჯზე, აღმოსავლეთსა და დასავლეთში ციმბირისაა და პოლონეთის იქით ახედვინებდა, ხოლო სამხრეთისაკენ აიასოფიაზე აღმართულ ნახევარ მთვარის დამსხვრევისათვის იხმობდა.

საქართველო, ეს სამხრეთის უმთავრესი ,,ოკრაინა'', შეიძლება ,,იძულებით'', მაგრამ მაინც ვერ ასცდა იმ გზას, რომელსაც უფრო ადრე რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებული მცირე ერები დაადგა და რომანოვების იმპერიის აღრევის შემდეგ, სამუდამოთ აიკეტა ის გზა, რომელიც დარიალის ვიწროებიდან იწყებოდა და მთელ საქართველოზე, სამხრეთით მიემართებოდა.

და ამის შემდეგ ჩვენთვის გასაგებია ის ,,დემოკრატიული'' ყვირილი, რომელიც საქართველოდან ჯერ კიდევ არ გაგდებულ რუს-პროფესორებს დასჩემდა, აქაო და საქართველოს სახელმწიფო ურუსეთოდ ვერ იარსებებსო. ჩვენ გვესმის ჩვენ დედა-ქალაქში მოკალათებულ რუს-,,ინტერნაციონალისტთა'' გოდება, რომ ქართველმა დემოკრატიამ, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, უღალატა რევოლუციონურ ფრონტსო.

მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ არ დავიწყნია ის ეროვნული ტანჯვა-წამება, რომელსაც იგი რუსეთის აქ ყოფნით განიცდიდა. ქართველ ერს ჯერ კიდევ თვალწინ უდგია ის გოლგოთა, რომელზედაც რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი სხეული იგზავნებოდა. ჩვენ ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი შრომა სჭირია იმისთვის, რომ ტლანქი რუსული ხელით გამოფიტული ეროვნული ჯან-საღობა გაიმთელოს.

ეს იყო მაშინ, როცა ჩრდილოეთის უხეში ძალა ქართულ ენას ძაღლის ენას ეძახდა და ქართულ ენაზე მოლაპარაკენი საჭირო სასჯელს პოულობდა. ეს იყო მაშინ, როცა საქართველოს ეკლესია რუსებისაგან შეუბრალებლად იძარცვებოდა და ამის მოწინააღმდეგე ქართული სამღვდელოება ტომრებში ჩაკრული შორეულ ციმბირისაკენ იგზავნებოდა. ეს იყო კიდევ მაშინ, როცა ქართული ტერიტორია უცხო კოლონისტებისთვის იჭრებოდა და საბედისწერო ას-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფოებრივი სახე, ფეხით ითელებოდა.

მაშინ ძნელი იყო ჩრდილოელი ძალის წინააღმდეგობა. იმ დროს, როცა დაშლილი იყო საქართველო როგორც მთლიანი ერთეული ხოლო რაკი ასე თუ ისე ძლიერი იყო რუსეთი, შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს სახელმწიფოს შექმნაზე ფიქრიც კი და მთელი ეროვნული ზრუნვა ნაღეჭი ავტონომიით იფარგლებოდა, ისიც ფარულად, ოცდა ექვს მაისამდი საქართველო მოკლებული იყო ყოველგვარ საშუალებას, რომ დაუპატიჟებელ ,,მფარველისათვის'' ჯეროვანი პასუხი გაეცა.

დღეს, მართალია სოციალისტური მთავრობის წყალობით, საქართველოს მილიტარული ძალა ერთობ უძლურია; ისიც მართალია, რომ ისტორიულ საზღვრებში ჯერ კიდევ არ აღმდგარა ჩვენი ქვეყანა, კვლავ ინტერნაციონალურ-რუსულ ყაიდაზე იმართვის, მაგრამ ჩრდილოეთშიაც ისეთ ხალხთან გვაქვს საქმე. რომლის მოქალაქეობრივ ომებს დასასრული არ უჩანს და რითაც იგი ძველ საშიშრობას აღარ წარმოადგენს. დღეს იმ რუსეთთანა გვაქვს საქმე, რომლის უსახო კულტურამ მხოლოდ რუსული-ყაჩაღური გამოსვლები შექმნა და აწმყო ძლიერება, მხოლოდ დენიკინის ჯარით იფარგლებაა.

და ის რაც იყო, [illegible] განმეორდეს. დღეს ქართველმა ერმა უნდა შესძლოს შემოსეულთ ჯეროვანი პასუხი გასცეს და იმ ხალხს, რომელმაც საქართველოში ის ჩაიდინა, რაც არ ჩაუდენია არც აზიელ მონგოლებს და კერპთ-მსახურებს, სამუდამოთ ფეხი აუდგას საკუთარ სახელმწიფოდან.

საქართველოში რუსეთის, როგორიც არ უნდა იყოს ივი დენიკინის, კერენსკის თუ ლენინის, დატოვებას ქართველმა ერმა ომი უნდა გამოუცხადოს.

საქართველოს ამბები.

ხომხეთისთვის ბონების მიცემა.

სომხეთთან დიადო ახალი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც 320 მდინ მანეთის ბონებს გამოუშვებენ. აქედან 160 მილიონი სომხეთს მიეცემა. მასვე მიეცემა აგრეთვე ის 800 მილიონ მანეთი, რომელიც სომხეთთან ომის გამო თავის დროზე ის იქნა გადაცემული

აძერბეიჯანის სამსახურში გადასვლა.

ფინანსთა სამინისტროს გადასახადთა განყოფილების უფროსი ლ. კოზლოვსკი აძერბეიჯანში მიიწვიეს ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრად, რა თანამდებობაზედაც კოზლოვსკის თვეში 6.000 მანეთი ექნება ჯამაგირათ.

სამეურნეო კურსების ლექტორები.

მიწადმოქმედების სამინისტროსთან დაარსებულ 1 ნახ. წლიან სამეურნეო კურსებზე ლექტორებათ მოიწვიეს ბ. მელიქიშვილი, ნ. მიმჩენკო, ი. მაქსიმოვი, ს. იუზბაშევი, ს. ტიმოფეევი, ე. კარბელაშვილი, ლ. ასათიანი, ა. ფონესენ, ციტოვიჩი და ა. გინცაბერგი

ყაჩაღ—სომხების დაჭერა.

გუშინ თბილისში ჩამოიყვანეს 23 სომეხი ბორჩალელი, რომელნიც მანგლისის რაიონში ყაჩაღთა დიდ ბრბოს მოქმედებაში მონაწილეობას იღებდენ.

ღვინის თავისუფალი გაზიდვა.

ფინანსთა სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილების ვიცე-დირექტორის შოთაძის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული თათბირი, რომელმაც ნება დართო საქართველოს საზღვრებიდან უაქციზოთ ღვინის ფულზე გაზიდვას, ამ დადგენილების მიზანია საქართველოში უცხო ფულის გამრავლება და ვალუტის აწევა.

დენიკინის შემოსევა.

მთავრობის ულტიმატუმი მოხალისეთა ჯარს

სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ 7 თებერვალს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ეკატერინოდარში მოხალისეთა შტაბს, (ასლი მოკავშირეთა მისიას): 6 თებერვალს მოხალისეთა ჯარის ნაწილები უეცრათ თავს დაესხენ სოჭაში მდგარ ჩვენს რაზმს. გენერალ ბურნევიჩმა მოსთხოვა რაზმს აეყარა იარაღი. მოხალისეთა ჯარის სარდლობის ასეთი მოქმედება არის აქტი უხეშ ძალადრობისა და მუხანათობისა და მუხანათობისა. უკანასკნელ დროს სოჭის ოლქი გვეჭირა ჩვენი ინგლისის სარდლობასთან შეთანხმებით და მათი მოთხოვნით. 3 თებერ. საქართველოს მთავრობამ სტამბოლში მყოფ ინგლისის სარდლობიდან მიიღო წერილობითი განცხადება, რომ დენიკინის მხრით არ მოხდება არავითარი გამოსვლები საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამის გამო ჩვენ ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს ასეთი თავდასხმის გამო და მოვითხოვთ, რომ სოჭის ოლქში მყოფი ჩვენი ჯარი თავისუფლათ და იარაღ აუყრელათ გამოუშვან. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულ პასუხისმგებლობას ვაკისრებ მოხალისეთა ჯარის შტაბს. საქართველოს მთავრობა მიიღებს უმკაცრეს ზომებს იმ

ველ მოწინააღმდეგე გარეშე ძალასთან, რომელიც ეცდება რუსეთის საქმეებში ჩარევას. ც. კ. რ. კ. პ. წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ესერების ლეგალიზაციის საკითხი დაკავშირებულია იმ განცხადებასთან, რომელსაც გააკეთებენ ისინი და რამდენათ ჩამოშორდებიან იმ ესერებს, რომელნიც აგიტაციას ეწევიან საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

სპარტაკელები და მთავრობა.

,,ფორვერსტსი'' იუწყება, რომ დიუზელ-დორფში მთავრობის ჯარის მოლოდინში სპარტაკელები თავდაცვისთვის მოემზადენ. მათ აუწყეს მცხოვრებთ, რომ მთავრობის ჯარის გამოგზავნა მოკავშირეთა მოთხოვნით მოხდა.

გერმანია და პოლონეთი.

შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილებით პოზნანში ჩავიდენ პოლონეთის და გერმანია-ს წარმომადგენელნი ზავის პირობების საბოლოოთ შესამუშავებლათ.

გერმანია და მოკავშირენი.

პარიზიდან იუწყებიან, რომ უმაღლესმა სამხედრო საბჭომ დაადგინა დროებითი ზავის განახლებისთვის უფრო სასტიკი პირობები წამოაყენონ: დაწესონ კონტროლი გერმანიის ჯერის დემობილიზაციაზე.

გერმანიის მთავრობის საკითხი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ეროვნული ყრილობა თებერ. 11 შეუდგება კონსტიტუციის პროექტის განხილვას, გერმანიის პრეზინდენტს კი თებერვლის 12 აირჩევენ, რის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგებიან მთავრობის არჩევას ისე, რომ, როდესაც დროებითი ზავის განახლებაზე მოლაპარაკებას დაიწყებენ, უკვე იქნება კანონიერი მთავრობა.

ბერნის კონფერენცია.

ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე სამხედრო ტყვეების შესახებ გადაწყვიტეს, რომ საჭიროა ყველა სამხედრო ტყვეები სამშობლოში დააბრუნონ. ბრანტინგმა დემოკრატიის დიქტატურაზე ილაპარაკა და კომიტეტის სახელით შემოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: ,,კონფერენცია მიესალმება რუსეთის, ავსტრიის და გერმანიის რევოლიუციას და მოითხოვს მთელი კვეყნის მუშებისგან, რომ ეცადონ დამყარონ დემოკრატიულ-რევოლიუციონური წესწყობილება, რომლის ფარგლებშიაც უნდა ხდებოდეს პოლიტიკური გადატრიალებანი. კონფერენცია, როგორც წინათ, ისე ახლა, სდგას დემოკრატიულ პლატფორმაზე, რომელიც დამყარებულია სიტყვის და პრესის თავისუფლებაზე, საყოველთაო თანასწორ საარჩევნო უფლებაზე და კავშირების თავისუფლებაზე. სამრეწველოების სოციალიზაცია წესიერათ უნდა ხდებოდეს, ცალკე ჯგუფების ამა თუ იმ სამრეწველოს ხელში ჩაგდება სოციალიზაციათ არ ჩაითვლება. სოციალისტური წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერს ხალხის უმრავლესობა. ყოველი ცდა პროლეტარიატის უმნიშვნელო ჯგუფის დიქტატურის დასამყარებლათ, სახიფათოა სოციალისტურ წარმატებისათვის.

სერბია და გერმანია.

სერბიის პრინცმა-რეგენტმა ალექსანდრემ ინახულა მარშალი ფოში და გადასცა მას ყარა-გიორგის დიდი ორდენი. პრინცმა გადასცა სერბიის სამხედრო ორდენი აგრეთვე ანდრე ტარდიეს, რომელიც უფროსობდა გუნდს ვერდენის სანგრებთან.

ჩეხო სლოვაკები და დუნაიის კონფედერაცია

ჩეხო-სლვაკების რესპუბლიკის თავმჯდომარე მასარიკმა შემდეგი განაცხადა დუნაის კონფედერაციის შესახებ: ,,ისტორიაში არის იმის მაგალითები, როცა ეკონომიურ კავშირიდან წარმოდგება პოლიტიკურიც. დუნაის კონფედერაციის პირობებში შედის წინანდელ ავსტრიის სამართლიანი ლიკვიდიცია. ამ ლიკვიდაციის მოხდენის პროცესი გამოარკვევს თუ რამდენათ სურთ სხვადასხვა ჯგუფებს მომდინარე საკითხების გადაწყვეტა.

რუს-სპარტაკელის შეპყრობა

მიუნქენში დააპატიმრეს სპარტაკელთა აგიტატორი დოქტორ ლევინი, რომელიც მოსკოვშია დაბადებული. მას ბრალს სდებენ სამოქალაქო ომის გამოწვევის ცდაში.

დიდ მთავართა დახვრეტა პეტროგრადის ახლო

ფინურ გაზეთების ცნობით პეტერბურგის ახლო დერიაბილის ციხეში იანვრის 28 დახვრიტეს 4 დიდი მთავარი. ამას გარდა კიდევ დახვრიტეს 172 კაცი, აქედან 144 მამაკაცი და 28 ქალი, რომელთაც ბრალდებოდათ ეგრეთ წოდებულ ინგლისურ-ფრანგულ ორგანიზაციის წევრობა. დახვრეტა დილით ადრე მოხდა 17 გრადუსის ყინვაში. დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე შიმშილისაგან დასუსტებული იყო, საკაცით გამოიყვანეს და ისე დახვრიტეს.

გერმანია და მოკავშირენი.

გერმანიის დამფუძნებელ კრებაზე სტატსსეკრეტარმა ებერტმა სთქვა, რომ ელზასლოტარენიდან გერმანელებს სდევნიან. რეინის დაპყრობილ მხარე დანარჩენ გერმანიას სრულიად მოწყვეტილია. გერმანიამ დიდი ხანია რაც დროებითი ზავის პირობები შეასრულა, მაგრამ ჩვენი 800.000 ჯარისკაცი ჯერ ისევ ტყვეობაშია. ბოლოს და ბოლოს გერმანიის მთავრობა იძულებული გახდება საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა შესწყვიტოს და მოწინააღმდეგეს მიანდოს ქვეყნიერების მართვა და აქედან გამომდინარე პასუხის მგებლობა მათ მოახვიოს. ვილსონის პრინციპების იმედით გერმანიამ იარაღი დაყარა და ბრძოლა შესწყვიტა. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ მოგვცენ ვილსონის მიერ დაპირებული ზავი.

დენიკინის ჯარი და ინგუშეთი.

კავკავიდან მიღებულ ცნობით მოხალისეთა ჯარი მიადგა ინგუშთა სოფ. დოლაკოვოს (სადგურ ბესლანიდან 10 ვერსზე) და ინგუშთა ნაციონალურ საბჭოს წარუდგინა შემდეგი ულტიმატუმი:

1) ინგუშებმა იარაღი უნდა აიყარონ და ჩააბარონ მოხალისეთა ჯარს;

2) ყველა ის პირნი, რომელნიც მონაწილეობას იღებენ წითელ არმიაში, და ისინიც, რომელნიც საბჭოთა მთავრობის მომხრენი არიან, უნდა გადაეცეს მოხალისეთა ჯარს;

მოხალისეთა ჯარის რაზმები თავისუფლათ გაშვებულ უნდა იქნან ინგუშთა ტერიტორიაზე გროზნამდე;

4) ინგუშებმა უნდა აუნაზღაუროს თერგის ყაზახებს ყველა ის ზარალი, რომელიც ყაზახებმა ნახეს რევოლუციის დროს;

5) ინგუშებმა თანხმობა უნდა განაცხადონ, 18—40 წლამდე მობილიზაციის მოხთენაზე და მათი რუსეთში გასაგზავნათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ;

6) ინგუშებმა თანხმობა უნდა განაცხადონ, რომ თერგის ოლქში გენერალ-გუბერნატორათ ყაზახი დაინიშნოს.

ინგუშთა ნაციონალურმა საბჭომ ულტიმატუმის ყოველ მუხლზე უარყოფითი პასუხი გასცა. მაშინ მოხალისეთა ჯარმა სოფელ დოლაკოვზე დაიწყო შეტევა, მაგრამ უშედეგოდ. სამჯერ განახლდა ეს შეტევა, მაგრამ ინგუშებმა ყოველთვის მოიგერიეს, ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლი იყო. სოფელი დოლოკოვო სამი მხრიდან გარშემორტყმულ იქნა მოხალისეთა ჯარის მიერ და ცეცხლი წაუკიდეს მას.— სოფელი გადაიბუგა. ბრძოლა გრძელდება.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

მოხდება 1919 წ. 14—16 თებერვალს დილის 9 საათ. სად. 9 საათამდე—შუადღე 1 დილამდე.

1-ლ კომისარიატში.

1	საარ.	უბანი—	ქართულ უნივერსიტეტის შენობაში.
2	„	„	საბურთალოს თეატრში.
3	„	„	ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლოლას ქ. სახ. მაჩაბლისა, № 52.
4	„	„	პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5	„	„	სამინისტროს სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე.
6	„	„	მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანიტასიას ქ.

2-ე კომისარიატში

7	„	„	მინიატურის თეატრში, ს. მელიქ-აზარიანცისა, ჯერის დაღ.
8	„	„	არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
9	„	„	ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი სასამართ. ქ.
10	„	„	თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

3-მე კომისარიატში.

11	„	„	პირველ ვაჟთა გიმნაზიაში.
12	„	„	სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკიანისა.
13	„	„	სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა.

4-ე კომისარიატში.

14	„	„	სახელოსნო გამგეობაში.
15	„	„	მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი № 62.
16	„	„	სომხების საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში. აბასაბადის მოედანზე.

5-ე კომისარიატში.

17	„	„	მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18	„	„	პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.
19	„	„	ტოლლეს ქარხნის კონტორაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.

6-ე კომისარიატში.

20	„	„	ნადეედინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზედ.
21	„	„	ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში.
22	„	„	ძმათა ტ. აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთ. ქ.
23	„	„	სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
24	„	„	მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზედ
25	„	„	ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზედ, სადაც იმყოფება მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.

7-ე კომისარიატში.

26	„	„	არაკსიანის თეატრში.
27	„	„	ავლაბრის გიმნაზიაში.
28	„	„	ცარიელ მაღაზიაში. კუთხე ლაზარევისა და ხივის შესახ. მანუკოვისა № 57.
29	„	„	მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30	„	„	ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა.

8-ე კომისარიატში

31	„	„	ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქ.
32	„	„	მალაკნების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ.
33	„	„	მე-4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
34	„	„	პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

9-ე კომისარიატში.

35	„	„	პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
36	„	„	მუშათა კლუბში, ერთობის უბანი.
37	„	„	მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტფერგენევის ქ.
38	„	„	კათოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ.
39	„	„	სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10-ე კომისარიატში

40	„	„	ავჭალის აუდიტორიაში.
41	„	„	ენფენჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოგზლის ქ.
42	„	„	2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ.
43	„	„	ზუბალაშვილის სახალხო სახლში. კიროჩნი ქუჩაზედ.

11 ე კომისარიატში

44	„	„	საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პაგლოვსკ. ქ.
45	„	„	სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტანიკური.
46	„	„	ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ.
47	„	„	სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის.

12-ე კომისარიატში

48	„	„	რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, ზერგმეტეგის ქ. ზარით
49	„	„	რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში.
50	„	„	ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა.
51	„	„	ავჭალის წყალ-სადენი.

ქართველთა ლეგიონი

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

მოიყარეთ თაგი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მხსამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**